



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 10

განკარგულება

31/01/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა დამტკიცებულია 10 საკრებულოს წევრით: კომისიის თავმჯდომარე - ლაშა კაკრიაშვილი; წევრები - შალვა კილაძე, ნაილი ჭოლაძე, რევაზ დიდავა, ლატავრა ბენდელიანი, მიხეილ კაკაბაძე, ზურაბ ფუთურიძე, კონსტანტინე შვანგირაძე, ზურაბ ლექვიანი და ავთანდილ გაბუნია.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტი და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2019 წელს ჩაატარა 14 სხდომა, სადაც განხილული იქნა 21 საკითხი. კერძოდ:

16 იანვარი -

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

25 იანვარი -

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ.

18 თებერვალი -

1. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

25 მარტი -

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

22 აპრილი -

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2018 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

31 მაისი -

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

27 ივნისი -

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

28 ივნისი -

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ.

25 ივლისი -

1. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

27 სექტემბერი -

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

30 ოქტომბერი -

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

20 ნოემბერი -

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

29 ნოემბერი -

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2019 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

26 დეკემბერი -

1. „ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის №36 96 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, 20 ნოემბრის სხდომაზე გამოთქმული რიგი შენიშვნები და წინადადებები, შემდგომი რეაგირებისათვის, წერილობით ეცნობა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს. კერძოდ:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს და ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მმართველებს გაეზარდოს ხელფასი და გაუთანაბრდეს სხვა დანარჩენი ა(ა)იპ - ის ხელმძღვანელი პირების ხელფასს.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლს“ გაეზარდოს სუბსიდია, რათა განახორციელოს საკვების შინ მიტანის სერვისი.
3. სოციალური პროგრამის გაცემის წესში შევიდეს ცვლილება. კერძოდ, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დახმარება 1800 ლარი გადანაწილდეს 12 თვეზე და გაიცეს ყოველთვიურად.

კომისიის სხდომებზე განხილული თითქმის ყველა პროექტი მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისთვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულომ მიიღო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ შობა-ახალი წელი და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა ა(ა)იპ „ინკლუზიური ცენტრის“ და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს. მათ გადავეცით საახალწლო და სააღდგომო ნობათები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო